პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი

№ 7 (1177) | ხუთშაბათი, 16 იანვარი. 1958 წ. | ფასი 30 კაპ.



მოსკოვის საწყლოსნო სპორტის სასახლეში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება ცურვაში პროფკავშირების ბავშვთა სპორტულ სკოლებს შორის. მონაწილეობდნენ: მოსკოვის, ლენინგრადის, ტალინის, კიევის, ლვოვის, მინსკის, ბაქოს, ჩელიაბინსკისა და სხვა ქალაქების მოცურავეთა გუნდები.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი, საზოგადოება „ბურევესტნიკის" გუნდის წევრები (მოსკოვი), მარცხნიდან — ლ. ანტონოვა, ლ. დრონინა, ტ. ბაშუტსკაია და ტ. აბრამიანი, რომლებმაც დაიკავეს პირველი ადგილები სხვადასხვა სტილით ცურვაში.

ფოტო ა. კონკოვისა და ბ. ტრეპეტოვისა.

## ორი მსოფლიო ჩემპიონატი

გასული წლის დამლევს პარიზში გაიმართა ავიაციის საერთაშორისო ფედერაციის საპარაშუტო და საპლანერო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების საკითხები საპლანერო და საპარაშუტო სპორტში.

პოლონეთის აეროკლუბის წინადადებით კომისიამ გადაწყვიტა მსოფლიო ჩემპიონატი ჩაატაროს 15-29 ივნისს პოლონეთის ქალაქ ლეშნოში. შეჯიბრებაზე გათამაშდება ოქროს ორი მედალი, ერთი — ღია კლასის პლანერებით და მეორე — სტანდარტული კლასის პლანერებით გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად, ამასთან სტანდარტული კლასის პლანერების ფრთები არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს. აკრძალულია აგრეთვე რაიმე მექანიზაცია ფრთებში, რადიოდადგმულობა პლანერზე და სხვ. ღია კლასის პლანერების შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლიათ, როგორც ერთ, ისე ორადგილიან პლანერებს. მსოფლიო ჩემპიონი კი გამოვლინდება მხოლოდ ერთადგილიანი პლანერებით შეჯიბრებაში.

პარაშუტისტთა შეჯიბრება გაიმართება აგვისტოში ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში. კომისიის სხდომაზე [illegible] აშშ-ს წარმომადგენლის წინადადებამ იმის შესახებ, რომ მონაწილე პარაშუტისტებმა მიწაზე დაშვება შეასრულონ ფეხზე მდგომებმა. ამერიკელს აქტიურად დაუჭირა მხარი გფრ-ს წარმომადგენელმა, მაგრამ საფრანგეთის, ინგლისის, ჰოლანდიისა და ბელგიის წარმომადგენლებმა გადაჭრით გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ, რადგან იგი საფრთხეში აგდებს სპორტსმენს. ამერიკელთა წინადადება უარყოფილი იქნა.

კომისიამ მიიღო ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის წინადადება, პარაშუტის გახსნის დაყოვნებითი ხტომის დროს სპორტსმენის მიერ მალაყის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. ამას გარდა საბჭოთა დელეგატმა წინადადება წამოაყენა ავიაციის საერთაშორისო ფედერაციასთან შეიქმნას საპარაშუტო სპორტის საერთაშორისო მსაჯთა ინსტიტუტი. ეს წინადადებაც მიღებულ იქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი

შეჯამდა ჩვენი ქვეყნის გასული წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შედეგები. სულ 1957 წლის მანძილზე ჩატარებულ 132 კალენდარულ შეხვედრაში გატანილ იქნა 371 ბურთი.

ჩემპიონატში ყველაზე შედეგიანი გამოდგა არმიელთა თავდასხმა, რომელმაც 51 ბურთი გაიტანა. მათ იმდენი ბურთი აქვთ გატანილი რამდენიც „შახტიორის", „კრილია სოვეტოვის" და მინსკის „სპარტაკის" ფეხბურთელებს ერთად. ყველაზე ნაკლებად აგრესიული თავდასხმა ჰყავდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" (9 გატანილი ბურთი).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეხვედრებში მცველებს გატანილი აქვთ 6 ბურთი, ნახევარმცველებს 19. 8 შემთხვევაში ფეხბურთელებმა ბურთი თავიანთ საკუთარ კარში გაიტანეს.

რომელი მოთამაშე იყო გასულ სეზონში ყველაზე შედეგიანი? მეორე წელია, რაც არმიელ ვასილ ბუზუნოვს პირველი ადგილი უკავია ამ თავისებურ შეჯიბრებაში. ბუზუნოვმა სეზონის მანძილზე გაიტანა 16 ბურთი. მეორე ადგილზეა „ტორპედოს" კაპიტანი ვალენტინ ივანოვი — 14 ბურთი.

13 ბურთი აქვთ გატანილი „ლოკომოტივის" ცენტრალურ თავდამსხმელს ვ. სოკოლოვს და ა. მამიკინს მოსკოვის „დინამოდან". ორი პოპულარული ცენტრალური თავდამსხმელი ე. სტრელცოვი („ტორპედო") და ნ. სიმონიანი („სპარტაკი") მე-5-6 ადგილებზე არიან (12 ბურთი თვითეულს).

შემდეგ მოდის მეორე არმიელი თავდამსხმელი ი. ბელიაევი 10 ბურთი. „ლოკომოტივის" კაპიტანს ვ. ვოროშილოვს, კიეველ მ. კომანს და გ. ფედოსოვს მოსკოვის „დინამოდან" გატანილი აქვთ 9-9 ბურთი.

ამრიგად, სიაში ჩვენ ვხედავთ ოთხ ცენტრალურ თავდამსხმელს, სამ მარჯვენა და ამდენივე მარცხენა შუამარბს. საგულისხმოა, რომ უძლიერესთა ათეულში ვერც ერთი გარემარბი ვერ მოხვდა. ათიდან 9 ფეხბურთელი მოსკოველია და მხოლოდ ერთი — კიეველი. ამასთან სიაში ორ-ორი ფეხბურთელით არიან წარმოდგენილი „დინამო", „ტორპედო", „ლოკომოტივი" და ცსკმო და თითო თავდამსხმელით „სპარტაკი" და „დინამო".

## რომ უფრო მძლავრი გახდეს სოციალისტური სამშობლო

საბჭოთა ახალგაზრდობა! ჩვენი ხალხის რამდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ ორ სიტყვაში. ეს იმიტომ, რომ სოციალისტური ქვეყნის მილიონობით გოგონა და ჭაბუკი, სადაც არ უნდა საქმიანობდეს იგი, საკოლმეურნეო მინდვრებზე, საწარმოებში თუ ახალმშენებლობებზე, ენერგიის დაუზოგავად შრომობს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ჩვენი ახალგაზრდობა აგრეთვე დაუცხრომლად იღწვის მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ახალი ომის გაჩაღების წინააღმდეგ, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებენ.

ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მამობრივად ზრუნავენ ჩვენი გოგონებისა და ჭაბუკების კეთილდღეობისათვის, რომელთათვის ღიაა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოთა, ახალმშენებლობათა კარები. ისინი აქ ეუფლებიან მეცნიერების მწვერვალებს, წარმოების მოწინავე გამოცდილებას.

ამას წინათ გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის იმ ახალგაზრდებისადმი, რომლებიც ამთავრებენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საშუალო სკოლებს.

„... ყოველდღიურ შემოქმედებით შრომაში, — ნათქვამია მიმართვაში, — რომლის მიზანია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, ხალხთა ბედნიერი ცხოვრების შექმნა, აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს ახალგაზრდობა, რომელსაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რაზმავს ლენინური კომკავშირი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დიდებული იდეები, ყრილობის მიერ შემუშავებული გრანდიოზული გეგმები კომუნიზმის მშენებლობისა, გახდა კომკავშირისათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, შთაგონების დაუშრეტელი წყარო, აავსო მისი ცხოვრება ახალი მდიდარი შინაარსით. უკანასკნელ წლებში 700 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი პარტიის მოწოდებით, კომკავშირის საგზურებით გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, აღმოსავლეთის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრის დასამუშავებლად, ახალი ქალაქების, შახტების, მაღაროების, ქარხნების, ელექტროსადგურების ასაშენებლად. ასეულათასობით ახალგაზრდა ყოველწლიურად მიემგზავრება ყაზახეთსა და ალტაიში, რათა თავისი შრომით დაეხმაროს ყამირის დამპყრობთ მოსავლის აღებაში. ამ დიდ პატრიოტულ საქმეებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და იღებენ საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები".

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებს საშუალო სკოლების დამთავრების შემდეგ წავიდნენ სამუშაოდ წარმოებებში, შახტებში, მაღაროებში, ქარხნებში, ფაბრიკებსა და მშენებლობებზე, სადაც მათ ელით ახალი საინტერესო პროფესიის დაუფლება, ხოლო კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში — სიცოცხლით სავსე საქმიანობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებამ რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებში, რომლებიც პირობას სდებენ საშუალო სკოლების დამთავრების შემდეგ პარტიის მოწოდების საპასუხოდ შეუდგნენ სასარგებლო შრომას, ერთი-ორად ამრავლონ ჩვენი რესპუბლიკის წარმატებები, რომ კიდევ უფრო საამური გახდეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, რომ უფრო ძლიერი გახდეს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო, რომელიც გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ ახალ-ახალი ბრწყინვალე გამარჯვებების მოსაპოვებლად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების საპასუხოდ წარმოებებში, კოლმეურნეობებში, ახალმშენებლობებზე სხვებთან ერთად სამუშაოდ წავლენ საშუალო სკოლადამთავრებული თანრიგოსნები, მშთ ნიშნოსნები, ფიზკულტურის აქტივისტები, რომლებმაც ნაყოფიერ შრომასთან ერთად ფართოდ უნდა გაშალონ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. დაეხმარონ ადგილობრივ ახალგაზრდობას ახალი ბაზების აშენების, არსებულის კეთილმოწყობის საქმეში, ჩამოაყალიბონ სპორტის სახეობათა სექციები, სათავეში ჩაუდგნენ მათს მუშაობას, ფიზკულტურულ საქმიანობაში ჩააბან რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა.

ისე, როგორც ყოველთვის, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები ახლაც არ შეირცხვენენ თავს, ენერგიული შრომით, ახალი ბრწყინვალე წარმატებების მოპოვებით უპასუხებენ იმ ზრუნვას, რომელსაც იჩენენ მათდამი ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

წაიკითხეთ მეოთხე გვერდზე: „მონბლანის ტრაგედია".

## რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა კლასიკურ ჭიდაობაში: ი. ტულუშს (თბილისი), ნ. ჰანუყვაძეს (ბათუმი, ორივე „სპარტაკი"), და ო. ვალიევს (თბილისი, „ბურევესტნიკი"). თავისუფალ ჭიდაობაში: ა. სიხარულიძეს (თბილისი, „შრომითი რეზერვები"), კრივში: ი. შეპეტკოვს (თბილისი, „სპარტაკი"), ფარიკაობაში: ა. ასათიანს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), მძლეოსნობაში: ს. როზანოვას (თბილისი, „ბურევესტნიკი"), წყალში ხტომაში ვ. პიროჟკოვს (ბათუმი, „პიშჩევიკი")



მოთხილამურეები დისტანციაზე.

ფოტოეტიუდი ო. გელაშვილისა.

### ვეხმაურებით წერილს „მცირეწლოვანი ბავშვების ჭადრაკით დატვირთვის შესახებ“

# სკოლამდელთათვის ჭადრაკის სწავლების შესახებ

**გ. ხაჭაპურიძე,**
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გაზეთ „ლელოში“ დაიბეჭდა სადისკუსიო წერილები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ჭადრაკის სწავლების საკითხებზე. პირველად თ. გიორგაძემ აღნიშნა ამგვარი წამოწყების ფაქტი თბილისის სკოლამდელებთან. დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ქარსელაძემ უარყოფითი შეფასება მისცა ამ მოვლენას. მწვრთნელი შ. ინწკირველი შეეცადა დაეცვა მის მიერ წამოწყებული საქმე. შემდეგ წერილში თ. გიორგაძემ დამარწმუნებლად არ მიიჩნია ის მოსაზრებები, რომლითაც შ. ინწკირველი იცავდა სკოლამდელთათვის ჭადრაკის სწავლების საჭიროებას. ა. ბუსლაევს ეს თაოსნობა პერსპექტულ საქმედ მიაჩნია, ხოლო ზოგიერთი ფიქრობს, რომ საკითხი დროულადაა დასმული.

1. პირველყოვლისა საჭიროა დაზუსტდეს, რას ეხება დავა — სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის ჭადრაკის მასობრივად სწავლებას, თუ ამ ასაკში ბავშვების მიერ ჭადრაკის თამაშის შესწავლის კერძო შემთხვევებს?

2. უნდა დაზუსტდეს ისიც, რას უნდა ემსახურებოდეს ადრეულ ასაკში ბავშვებისათვის ჭადრაკის სწავლება — სპორტულ თუ უბრალოდ გართობის მიზანს?

იმის მიხედვით თუ რა ამოსავალი მიზნები იქნება დასახული, სხვადასხვაგვარად შეფასდება ის არგუმენტები, რომლებიც ადრინდელ ასაკში ჭადრაკის სწავლების დაწყების მომხრეებს თუ მოწინააღმდეგეებს მოყავთ.

საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. ქარსელაძეს სავსებით გარკვეული ამოსავალი პოზიცია უკავია. მას არ აინტერესებს ამ ასაკში ჭადრაკის სწავლების კერძო შემთხვევები, არამედ მოითხოვს საერთოდ გაირკვეს ის ასაკობრივი საფეხურები, საიდანაც შეიძლება დაიწყოს ბავშვებისათვის ჭადრაკის მასობრივი სწავლება. პირადად მას ასეთ ასაკად 7-8 წელი მიაჩნია. ვუნდერკინდების მაგლითს მისი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტისათვის არა აქვს მნიშვნელობა. იგი უეჭველად მართალია. სადავოა მხოლოდ ის, გახდეს თუ არა ჭადრაკი სკოლამდელ ბავშვთა ფართო მასის დაინტერესების საგანი.

მეორე საკითხი ეხება იმას, უნდა გვესმოდეს თუ არა სკოლამდელ ასაკში ჭადრაკის სწავლების მიზანი, როგორც გარკვეული სახის სპორტული ინტელექტუალური აქტივობის საფუძვლების ჩაყრა-განმტკიცება, თუ იგი მივიჩნიოთ ბავშვის მარტოოდენ გართობის ერთ-ერთ სახეობად.

მართებულად აღნიშნავს ვ. ქარსელაძე, რომ „ჭადრაკი მხოლოდ თამაში არაა, რადგან მასში ძალიან ბევრია ხელოვნებისა და მეცნიერების ელემენტები“. ჭადრაკის სწავლება უნდა ნიშნავდეს, სწორედ სერიოზული სპორტული ინტელექტუალური აქტივობის საფუძვლების მომზადებას. ასე ესმის ეს დისკუსიის მონაწილე ორივე მხარეს. შ. ინწკირველი აღნიშნავს, რომ ბავშვებს ასწავლა შამათი, ნოტაცია „და მარტივი კომბინაციების შესწავლამ უფრო გაზარდა მათი სიყვარული ჭადრაკისადმი.“ ეს გასაგებიცაა, რადგან კონკრეტული მიზანდასახულების გარეშე ფიგურების უბრალო სვლების ცოდნა არ შეიძლება უზრუნველყოფდეს ბავშვის ინტერესს ჭადრაკისადმი, ესე იგი ჭადრაკი ღირებულია ან როგორც სპეციფიკური სერიოზული თამაში, რომელსაც გარკვეული ამოცანა წარმართავს, ან იგი მნიშვნელობას მოკლებულია.

მაგრამ რას ნიშნავს ყოველივე ეს? სვლის გაკეთებას ჭადრაკში გარკვეული მიზანდასახულება განსაზღვრავს, რომელიც შექმნილი სიტუაციის ანალიზის საფუძველზე ისახება და რომელსაც მივყავართ საბოლოო მიზნის განხორციელებისაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვმა სიტუაციის ლოგიკური ანალიზი აწარმოოს: შექმნილი მდგომარეობიდან გამოჰყოს არსებითი და არაარსებითი მომენტი, წინასწარ გაითვალისწინოს სვლათა მთელი ჯაჭვი, რათა აირჩიოს ყველაზე მიზანშეწონილი სვლა. არის თუ არა ეს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მასისათვის მისაწვდომი? ცნობილია, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არ გააჩნიათ ლოგიკური აზროვნების ის დონე, რომელიც საჭადრაკო ამოცანის გადაწყვეტისათვისაა საჭირო. მათ საგნის ყველა ნიშნის ანალიტური ჭვრეტაც არ ეხერხებათ, როგორც ეს იყო დამტკიცებული აკადემიკოს დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების გამოკვლევებით. ბავშვები არ არიან დაუფლებული სივრცითი მიმართების იმ კატეგორიას, რომელიც ჭადრაკს ჭირდება, ხოლო არსებითის და არაარსებითის წვდომა და ერთმანეთისაგან გამოყოფა, პროფ. რ. ნათაძის გამოკვლევით სკოლის საფეხურის დაბალ კლასებშიც არაა დაუფლებული (ის მხოლოდ IV კლასში მიიღწევა), ამიტომ სრულიად უდავოდ უნდა ვცნოთ, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვი ჭადრაკის თამაშისათვის ფუნქციურად მომწიფებული არაა.

ამას ცხადყოფს სივრცის კატეგორიის დაუუფლებლობა და მომდევნო სვლათა ანალიზი, სვლების ფარული აზრის წვდომის და საკუთარ სვლათა ლოგიკურად გამართული რიგის გათვალისწინების სიძნელე. მთელი საჭადრაკო სიტუაცია სივრცეში განლაგებულ და დაპირისპირებულ ძალთა სისტემას წარმოადგენს და ვისაც ამ დინამიკური სიტუაციის ანალიტური ჭვრეტის უნარი არ აქვს ის, რასაკვირველია, ამ საქმისათვის მომზადებულად ვერ ჩაითვლება.

მაშ რა შეუძლია შეითვისოს ბავშვმა საჭადრაკო აქტიობიდან საგანგებო სწავლების პირობებში? ფიგურების სვლის წესები და უშუალო სვლების წარმოება, როგორც რეაქცია შექმნილ მდგომარეობაზე. მაგრამ ამ გზით სვლა და სისტემატური თამაში ბავშვებს მიაჩვევს მოუფიქრებელი სვლების წარმოებას, რაც ჩვევად გადაექცევათ და უფროს ასაკში უფრო უარყოფითად იმოქმედებს, ვიდრე დადებითად. მეორე მხარეც გასათვალისწინებელია. ვთქვათ, რომ სკოლამდელი ბავშვები მივაჩვიეთ რამდენიმე სვლის გათვალისწინებას და მხოლოდ ამის შემდეგ ფიგურების გადადგმას. ხომ ცნობილია, რომ სვლათა წინასწარი გათვალისწინება ძნელი ინტელექტუალური მოქმედებაა, რომელიც ძლიერ დამღლელად მოქმედებს. იგი იმდენად ძნელი და დამღლელია, რომ ჭადრაკის მოყვარული მოზრდილებიც კი ზოგჯერ წამოიძახებენ ხოლმე: „აღარ შემიძლია ამდენი ფიქრი!“ და აკეთებენ სვლას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ პარტიის დამთავრებისათვის გააზრებული სვლების დიდი რაოდენობაა საჭირო და ეს თავის მხრივ დიდ დროს მოითხოვს, რაც აღემატება სკოლამდელთა სამეცადინო ნორმებს (უმცროს ჯგუფში — 10-15 წუთი, საშუალო და უფროს ჯგუფში — 20-25 წუთი).

სკოლამდელი ასაკის ბავშვები ადვილად იღლებიან და მათი ინტელექტუალური დატვირთვის დოზირება საკითხის გადაწყვეტის არსებითი ნაწილია. საინტერესოა ამ მხრივ იმის გათვალისწინება, თუ რამდენი სვლის გაკეთებას ახერხებს შ. ინწკირველის მიერ მომზადებული 7 წლის გუგუნავა სატურნირო დროში. ირკვევა, რომ 9 სვლის (და თუ გინდ 20) მეტს ვერ ასწრებს. ეს უკვე იმის საბუთია, რომ ნიჭიერი სკოლამდელი ბავშვისათვისაც უაღრესად ძნელი ყოფილა საჭადრაკო სიტუაციების ანალიზი და მოფიქრებული სვლების წარმოება.

ჭადრაკის სწავლებას მეორე მხარეც აქვს: მეთოდიკური. იგი გულისხმობს, გარდა ფიგურათა ადგილგადანაცვლების დასწავლისა, ფიგურათა შედარებითი ხვედრითი წონის ცოდნას, ამასთან უნდა შესწავლილ იქნას შამათის ხერხები და თამაშის დასაწყისისა და მისი დამთავრების პრინციპები. ჭადრაკის ამ შემადგენელი ელემენტების სწავლება უნდა წარმოებდეს დამოუკიდებლად, შეჯიბრების სიტუაციის გარეშე.

მეთოდიკური თვალსაზრისით შეიძლება სწავლება შეჯიბრების სიტუაციაში ვაწარმოოთ, მაგრამ თუ ამ შემთხვევაში ყოველი სვლა მოფიქრებით უნდა იყოს წარმოებული, მაშინ თამაშის პროცესი მეტად დამღლელი იქნება ბავშვებისათვის. მაგრამ შეიძლება გვითხრან, პარტია დროის მოკლე ინტერვალების შემდეგ შესწყვიტეთ და გადადეთო. ეს შესაძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო გახდება პარტიების ჩაწერა, რისთვისაც აუცილებელია ნოტაციის ცოდნა.

ნოტაცია გულისხმობს ასოებისა და ციფრების წერის ცოდნას. საბავშვო ბაღების პროგრამით კი არც ერთია გათვალისწინებული და არც მეორე, ხოლო 5-6 წლის ასაკში რიცხვების ცოდნა ათით შემოიფარგლება.

როგორც ვხედავთ, ჭადრაკის სწავლების დაწყებას საკმაოდ რთული ფუნქციური კონტექსტი ჭირდება, რომელიც სცილდება სკოლამდელი ბავშვთა მასის ნორმალური განვითარების ფარგლებს. ზოგიერთები მიუთითებენ მუსიკის სწავლების ადრე დაწყებაზე. აღვნიშნავთ, რომ მუსიკალური სასწავლებლები 7 წლის ასაკის ბავშვებს ღებულობენ, რადგან მუსიკის თეორიის სწავლებას ნოტაცია სჭირდება.

საკითხს ზოგადი პედაგოგიური მხარეც აქვს. შ. ინწკირველის გამოცდილების მიხედვით, იმ ბავშვებიდან, რომელთაც დააწყებინეს სწავლა, გამოყოფილ იქნა ნიჭიერთა ჯგუფი. მათთან გაღრმავდა მუშაობა და ზოგმა, თითქოს კიდეც თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. დავუშვათ, რომ ეს ასეა. რა შეიძლება ამას მოყვეს ბავშვის საერთო განვითარების დონის უზრუნველყოფის თვალსაზრისით? მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჭადრაკში წარმატება ამ თამაშით მეტ დაინტერესებას იწვევს, მაგრამ ბავშვს ჯერ სკოლაში სწავლა არ დაუწყია, სასწავლო წარმატებისათვის ძალები არ დაუძაბავს, შესძლებს თუ არა იგი ჭადრაკით გატაცების ფონზე სასწავლო საგნებისათვის მაქსიმალურ გულისყურით მიდგომას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეუძლებელი იქნება ბავშვის ენერგიის მობილიზება სასწავლო საგნების მიმართ, რაკი მისთვის მთავარ საქმედ უკვე ჭადრაკია გადაქცეული. ამრიგად, სწავლა უნებლიედ მეორეხარისხოვან საქმედ იქცევა, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. ამას კი არ ექნება ადგილი, თუ ბავშვს თავდაპირველად სწავლისადმი ინტერესი ჩაენერგება.

ვ. ქარსელაძეს საგულისხმო დაკვირვება მოყავს. ბავშვები, რომლებიც ჭადრაკის თამაშს 7 წლის ასაკში იწყებენ ადვილად ეწევიან უფრო ადრე დამწყებთ. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი მათ შორისაც ვინც 7 წელსა და 10 წელში იწყებენ თამაშს. ეს მდგომარეობა 13-14 წლამდე გრძელდება. ამას გარდა, სპორტის ოსტატების უმრავლესობას 12 წლის ზევით დაუწყია ჭადრაკის თამაში. ეს გარემოება უდავოდ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჭადრაკის შესწავლის ადრე დაწყება, თუ განსაკუთრებულ ტალანტთან არ გვაქვს საქმე (კაპაბლანკა, რეშევსკი, მორფი და სხვ.) საჭადრაკო წარმატებას ვერ უზრუნველყოფს. ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სკოლამდელ ასაკში ჭადრაკის სწავლება ნაადრევია. ასევე ნათელია, რომ არც 7-8 წლის ასაკშია ბავშვების მიერ ამ თამაშის შესწავლა გამართლებული, რამდენადაც არსებითის წვდომის დასაწყისად, პროფ. რ. ნათაძის გამოკვლევით IV კლასი უნდა ჩაითვალოს. I-II-III კლასებში ჩამოყალიბდება და განმტკიცდება ბავშვის სასწავლო ინტერესი, აზროვნებითი ოპერაციები (ანალიზი, აბსტრაქცია, განზოგადება) ფუნქციურ სისრულეს მიაღწევს და მხოლოდ ამის შემდეგ არ იქნება საჭადრაკო ინტერესი ბავშვის სასწავლო საქმიანობის შემფერხებელი.

## მოძმე რესპუბლიკებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვოროხტელ ტყისმჭრელთა დახმარებით

ისეთი ქარი დიდი ხანია არ ახსოვთ კარპატელებს, როგორიც გასული წლის დამლევს იყო. მთელი ღამის განმავლობაში მძვინვარებდა ბუნების ეს აბეზარი მოვლენა, ძირფესვიანად თხრიდა უზარმაზარ ხეებს. მდიხარე პრუტის ხეობაში, იქ, სადაც მოწყობილი იყო ცნობილი ტრამპლინი „უკრაინა“, განსაკუთრებით გაძლიერდა იგი. ტრამპლინის ირგვლივ მოთხრილმა ხეებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ეს შესანიშნავი ბაზა, ხოლო მისი ძელები შორს გაიტაცა. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა. შეკრებაზე მყოფ უკრაინის სამთო მოთხილამურეებს ტრამპლინის დაზიანების გამო ხელი ეშლებოდათ ვარჯიშში. მაშინ საქმეში ჩაერიენ ვოროხტელი ტყის მჭრელები, რომლებმაც სპორტსმენებთან ერთად შეძლეს მოკლე დროში აღედგინათ დაზიანებული ნაგებობა.

### «სპორტსის» ფურცლებზე

ლატვიის სპორტულმა გაზეთმა „სპორტსმა“ თავის მკითხველთა შორის ჩაატარა კონკურსი „ლატვიის 1957 წლის 10 პოპულარული სპორტსმენი“. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 2 ათასზე მეტმა მკითხველმა. სპორტის მოყვარულების აღიარებით რესპუბლიკაში ყველაზე პოპულარულია ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. იანუზემე, რომელიც გასულ წელს III სპორტული თამაშების ჩემპიონიც გახდა. მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის კაპიტანი გ. ვალდმანისი, შემდეგ მოდიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში მ. ტალი, III თამაშების ჩემპიონი, მოკრივე ა. ტუმინში, კალათბურთელები ი. კრუმინში, ძ. კარამიშევა და ვ. მუიჟნიეკსი, ძალოსანი ვ. სტეპანოვი, მძლეოსნები ე. კერხისი და ძ. ლევიცკაია.

### საჭეს მართავდა სპორტსმენი

დაღუპვა ემუქრებოდა იუგოსლაველთა გემ „ლოზინს“, რომელსაც საჭე დაუზიანდა და თავის ნებაზე ათამაშებდა შავი ზღვის ბობოქარი ტალღები. დეპეშის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილისაკენ გაემართნენ საბჭოთა ბუქსირები „სოლნცადარი“ და „სტალინეცი“. სპორტსმენმა დენისოვმა, რომელიც თანრიგოსანია ცურვაში და „სოლნცადარის“ საჭეს მართავდა ცუდი ამინდის მიუხედავად წარმატებით შეძლო საბუქსირო სამუშაოების დამთავრება და იუგოსლაველთა გემის მიყვანა ნავსადგურში.



სპორტული ტანვარჯიში — სპორტის ულამაზესი სახეობა წარმატებით სარგებლობს უმცროსი ასაკის ბავშვებში.

სურათზე: ამას წინათ ჩატარებული მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების ერთ-ერთი ყველაზე უმცროსი მონაწილე, ათი წლის ვ. ადამაშვილი.

ფოტო გ. ლივშიცისა.

1956 წლის ოლიმპიურმა თამაშებმა ცხადყო, რომ საბჭოთა კალათბურთელები ტექნიკაში და განსაკუთრებით საშუალო და გრძელ დისტანციებიდან სროლებში ჩამორჩებიან ამერიკის შეერთებული შტატების და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოების სპორტსმენებს. მელბურნში გამომჟღავნდა აგრეთვე, რომ საბჭოთა კალათბურთელები ცუდად ასრულებენ საჯარიმო სროლებს.

ახალმა წესებმა, რომელიც ძალაში შევიდა 1957 წელს, მოითხოვა საშუალო და გრძელ დისტანციებიდან სროლათა რიცხვის გადიდება.

# ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა ორი კვირა

მაგრამ, მიუხედავად ამისა, სროლების ეფექტურობის პროცენტმა მაინც არ იმატა. იმ მიზნით, რომ ვუნდებმა შესძლონ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის უკეთ დაგეგმვა და ზემოდნათქვამი ხარვეზების გამოსწორება, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის კალათბურთის განყოფილებამ და საკავშირო სექციამ შეიმუშავა „ა“ კლასის ოსტატთა გუნდებისათვის ახალი კალენდარი. საბჭოთა კავშირის პირველობის ორგანიზაციის ახალი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ თამაშები ჩატარდება წრიული სისტემით (ორ წრედ) ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ხანგრძლივი დროის მანძილზე.

1958 წლის საკავშირო ჩემპიონატის დაწყება განზრახულია 26 იანვრისათვის. ქალთა გუნდები შეეჯიბრებიან ერთმანეთს კაუნასსა და რიგაში, ხოლო ვაჟთა გუნდები — სვერდლოვსკსა და ალმა-ატაში. თამაშები უნდა დამთავრდეს 2 თებერვლისათვის. მეორე ტურის შეხვედრების (2-დან 10 მარტამდე) ჩასატარებლად ქალთა და ვაჟთა ყველა 24 გუნდი თავს მოიყრიან ლენინგრადში, სადაც დამთავრდება პირველი წრე.

მეორე წრის პირველი ტური მოეწყობა 22-29 მარტს ტალინსა და თბილისში (ქალებისათვის) და ტალინსა და რიგაში (ვაჟებისათვის). პირველობის უკანასკნელი ტურის ჩატარება განზრახულია ივნისში.

ახალი სისტემა დავადები გუნდებს სასწავლო - საწვრთნელი ვარჯიშისათვის მეტ დროს აძლევს.

განზრახულია ზაფხულში, სპეციალური პროგრამით მძლეოსნური შეჯიბრებების მოწყობა. ახალი კალენდარი გუნდებს, მწვრთნელებსა და მოთამაშეებს საწარმოო კოლექტივებში გასვლის საშუალებას მისცემს.

ლელო

მე-2 გვ. № 7 (1177)

# რიგა, XXV ჩემპიონატი

ჩემპიონატის დაწყებამდე მეცნიერებათა სასახლის მყუდრო დარბაზი უკვე ავსე იყო მაყურებლებით. თამაშის დაწყებისათვის სცენაზე ავიდნენ გროსმაისტერები და ოსტატები და მოუსხდნენ მაგიდებს. მხოლოდ ოსტატი ბ. გურგენიძე შეუერთდა მაყურებლებს, რადგან მას კენჭისყრით პირველსავე დღეს მოუწია დასვენებამ. ტრადიციისამებრ მთავარმა მსაჯმა ვ. ვინოგრადოვმა ჩართო საათები და დაიწყო ჩემპიონატის I ტური.

ყურადღების ცენტრში იყო ტალი-ტოლუშის პარტია. რიგელებს ახსოვდათ, რომ XXIV ჩემპიონატში ტალმა დასკვნით ტურში ლენინგრადელ გროსმაისტერთან გამარჯვებით მოიპოვა ჩემპიონის მაღალი წოდება. ამიტომ კვლავ მოსალოდნელი იყო „დაუნდობელი" ბრძოლა. დებიუტში მომხდარი შეტაკების შედეგად გაიხსნა თამაში. ტალის ორ კუს სამოქმედო ასპარეზი მიეცა. ტოლუში იძულებული გახდა დაცვაზე გადასულიყო, მაგრამ მას არასწორად აწარმოებდა. ტალი მოხვდა თავის სტიქიაში და მძლავრი იერიშით 28-ე სვლაზე გახსნა ანგარიში. მაყურებლებმა დაარღვიეს წესრიგი და ტაშით შეეგებნენ თავისი ფავორიტის პირველ გამარჯვებას. ტალი და ტოლუში კი განაგრძობდნენ... პარტიის გარჩევას, ეძებდნენ შეცდომებს. ბოლოს დაადგინეს, რომ ტოლუში ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არასწორად არჩეული დებიუტის მსხვერპლი გახდა.

დანარჩენ პარტიებშიც ბრძოლა მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მრავალრიცხოვანი გაცვლების შემდეგ ყაიმით დამთავრდა ტაიმანოვ-სპასკის და ბორისენკო-ფურმანის პარტიები. თუმცა ამ დღეს არ იქნა ფიქსირებული შედეგები პეტროსიან-სუეტინის, ავერბახი-ბანიკისა და გელერ-კროგიუსის პარტიებში, მაგრამ ნათელია, რომ გადადებულ პოზიციებში ოსტატებს გადარჩენის ძალზე

> ტალი უგებს ტოლუშს
>
> ყაიმი—გურგენიძე-პეტროსიანის პარტიის შედეგი
>
> ტოლუშ—ტაიმანოვის პარტია შემოივლის მსოფლიო საჭადრაკო პრესას

მცირე შანსები დარჩათ. საინტერესოდ ვითარდებოდა კოტოვ-ბრონშტეინის შეხვედრა. მთელი პარტიის მანძილზე უპირატესობას კოტოვი ინარჩუნებდა. ახლაც, შეწყვეტილ პოზიციაში მისი უპირატესობა ეჭვს არ იწვევს. ძნელია განსაზღვრო თუ როგორ წარიმართება შემდგომი თამაში კორჩნოი-ბოლესლავსკის პარტიაში, რადგან იგი რთულ პოზიციაშია შეწყვეტილი.

ტურის უკანასკნელ წამებში კვლავ ტაშმა იგრიალა. ამით მაყურებლები გამოხატავდნენ თავის სიხარულს იმის გამო, რომ მათმა ჩემპიონმა გიპსლისმა უვნებლად დააღწია თავი ცაიტნოტს. ეს პარტიაც გადაიდო.

* * *

II ტურში ტალი შეხვდა ბრონშტეინს. ამ პარტიამ, რასაკვირველია, მაყურებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რადგან ორივე მოჭადრაკე ჩემპიონობის აღიარებული პრეტენდენტები არიან. საინტერესოა, რომ ტალს სტარტზე ზედიზედ უწევს თამაშები გროსმაისტერებთან. ამიტომ იყო, რომ ტალმა იხუმრა: „ვგრძნობ, რომ გროსმაისტერებს არ უნდათ მაპატიონ შარშანდელი „თავხედობა", თუმცა ადვილად არ დავთმობ ჩემპიონობას". ეს ტალმა ბრონშტეინთან პარტიაში საქმით დაამტკიცა. მშვიდი სადებიუტო სვლების შემდეგ მოსკოველმა გროსმაისტერმა ინიციატივის ხელში ჩაგდების მიზნით პაიკი შეწირა. ტალმა მაშინვე უკან დააბრუნა იგი, ხოლო კიდევ რამდენიმე სვლის შემდეგ თვითონ შეწირა პაიკი და შეუტია ბრონშტეინის პოზიციას. მოსკოველი შეეცადა გაცვლებით გაექარწყლებინა შეტევის სიმძაფრე და შედგომოდა მატერიალური უპირატესობის რეალიზაციას. მაგრამ ტალმა მოხდენილი მანევრებით დაიბრუნა პაიკი და სავსებით გაათანაბრა მდგომარეობა. 30-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ალბათ, მთელი საჭადრაკო სამყაროს შემოივლის ტოლუშ-ტაიმანოვის პარტია, რომელიც აღსავსეა ეფექტური სვლებით, ტაქტიკური თავდასხმებით, კომბინაციებით. სიცილიურ დაცვაში ტოლუში ლაზიერით უკან ამოუდგა საკუთარ პაიკებს, რაც გონებამახვილურ ექსპერიმენტს წარმოადგენდა. შემდეგ იმ პაიკებით წამოიწყო მეფის ფრთის შტურმი. არც ტაიმანოვს დაუყოვნებია კონტრთამაშის გაჩაღება ლაზიერის ფრთაზე. სწორედ ამ „შეხლაშემოხლაში" ადგილი ჰქონდა იმ მომენტებს, რომლებიც ამ პარტიას უაღრესად საინტერესოს ხდიან. ცაიტნოტში ტაიმანოვს „ფეხი დაუცდა". ტოლუშის პაიკები მიეჭრნენ შავების მეფეს და ფარ-ხმალი დააყრევინეს.

ნელა ვითარდებოდა გურგენიძის პარტია პეტროსიანთან. ქართველი ოსტატი თავიდანვე მტკიცე პოზიციას აგებდა: იგი ემზადებოდა გროსმაისტერის თავდასხმის მოსაგერიებლად. პეტროსიანმა რაკი შეატყო, რომ ვერაფერს გახდებოდა კლდესავით აღმართულ ციხე-კოშკის წინაშე, გურგენიძეს ყაიმი შესთავაზა. გურგენიძემ ფიცხელ შეტევებს მშვიდობიანი დაზავება არჩია.

ყაიმით დამთავრდა ბოლესლავსკი-კოტოვის შეხვედრაც. არც გიპსლის-გელერისა და კროგიუს-ბორისენკოს პარტიები გაგრძელებულა დიდხანს, აქაც მალე მოხდა დაზავება.

სამი პარტია გადადებულია. სპასკი ინარჩუნებს მოგების შანსებს პოლუგაევსკის წინააღმდეგ; ავერბახს კორჩნოისთან მცირე უპირატესობა აქვს, ხოლო სუეტინ-ბანიკის პარტიაში მდგომარეობა თანაბარია. ამ დღეს ფურმანი არ თამაშობდა

## შეხვედრა ოლიმპიელებთან

ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე და დავით ციმაკურიძე ხშირად ხვდებიან რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების ახალგაზრდებს.

ამას წინათ, ბოლნისში ჩატარდა მსგავსი შეხვედრა. ქართველ სპორტსმენების გამოსვლების შესახებ XVI ოლიმპიურ თამაშებზე ილაპარაკა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. ციმაკურიძემ. შემდეგ დამსწრეებს ქართველ მოჭიდავეთა საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლების შესახებ ესაუბრა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბალავაძე.

სპორტსმენებს მიესალმნენ ადგილობრივი სკოლების მოსწავლეები.

* * *

რუსთავში მეტალურგთა სახლში ზემოდჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა სიტყვით გამოვიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი კარტოზია. მან ილაპარაკა იმ სპორტული გზის შესახებ, რომელიც გაიარა ყველასათვის უცნობმა ჭაბუკმა და როგორ გახდა შემდეგ იგი მსოფლიოში უძლიერესი მოჭიდავე.

**შ. გუგეშაშვილი**







ამიერკავკასიის სპარტაკიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსმენთა ნაკრები გუნდები წვრთნას გადიოდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. ეს წამოწყება თავისთავად სასიამოვნო ფაქტი იყო, რადგან იგი ხელს უწყობდა სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოპულარიზაციას ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

მოკრივეები წვრთნას გადიოდნენ ლენინგორში. ახალგაზრდების დიდი ნაწილი რეგულარულად ესწრებოდა რესპუბლიკის წამყვან მოკრივეთა ვარჯიშს, მათ საჩვენებელ გამოსვლებს. ადგილობრივ მცხოვრებლებსა და სპორტსმენთა შორის სულ მალე დამყარდა მეგობრობა.

მოკრივეები წვრთნისაგან თავისუფალ დროს, ხშირად გამოდიოდნენ მოჭიდავეთა როლში. ლენინგორელმა ჭაბუკებმა მოამარაგეს თბილისელი მეგობრები საჭიდაო ჩოხებით და მოუწყეს ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ თუ როგორ უწევს მკლავი ხელს ირაკლი მელაძეს, რომელმაც რამდენიმე წამის წინ „საპატიო გამარჯვება" მოიპოვა. მოკრივეები ხშირად მაყურებლების როლშიც გამოდიოდნენ. აი როგორ ცხოველ ინტერესს იწვევდა ზოგიერთი შერკინება (შუა სურათი). ქვემოთ თქვენ ხედავთ ჭიდაობის ერთ-ერთ მომენტს.

## ახალგაზრდა მხატვართა კლუბში

ნახ. ამირან ბახტაძისა.



ასეც ხდება

## მესამე ადგილზე უძლიერესთა შორის

მოსკოვში, მოსწავლეთა არდადეგების დღეებში, ჩატარდა „ნორჩი დინამოელის" ზამთრის საკავშირო შეჯიბრება ცურვაში. მასში მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ტარტუს, ბაქოს, ერევნის, მინსკის, ტალინისა და თბილისის 350-მდე სპორტსმენი.

შეჯიბრების დასაწყისიდანვე ლენინგრადელთა უპირატესობა აშკარა გახდა. ბრძოლა უმთავრესად მეორე საპრიზო ადგილისათვის გაჩაღდა და მისი ძირითადი პრეტენდენტები მოსკოვის, კიევის და თბილისის გუნდები იყვნენ.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გოგონებს შორის გამარჯვებული გამოვიდა ლენინგრადელი მ. პავლოვა. მანვე მოიგო შეჯიბრება 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში. თანაგუნდელს არც ე. მარგო ჩამორჩა, რომელმაც 100 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გოგონათა შორის პირველობა დაისაკუთრა და გუნდს კიდევ ორი გამარჯვება შემატა. პირველი იყო აგრეთვე ლენინგრადელი გოგონა ნ. მიკეშინა 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში. შეჯიბრების ამავე სახეობაში გოგონებიდან ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა კიეველი ი. პშენიცინა.

დაძაბული გამოდგა შეჯიბრება 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. ფინალში გავიდნენ თბილისელი ი. კულჩიცკაია და მოსკოველი მ. სტალნოვა. მ. სტალნოვამ გამარჯვება მხოლოდ უკანასკნელ მეტრებზე გაინაღდა. თანაგუნდელის დამარცხებისათვის რევანში აიღო თბილისელმა ლ. კრილოვამ, რომელმაც ყველა მონაწილე დიდი მანძილით ჩამოიტოვა უკან და 200 მეტრი ბრასით კარგ დროში დაამთავრა — 3.10,2.

წარმატებით გამოვიდა აგრეთვე თბილისელი მოსწავლე გოგონა ა. მორგუნენკო, რომელმაც გუნდს ორი მეორე ადგილი შესძინა (100 მეტრი ზურგზე და 400 მეტრი თავისუფალი სტილით).

მეტად საინტერესო გამოდგა შეჯიბრება ვაჟთა შორის. ჭაბუკებში უძლიერესის სახელი მოიპოვეს: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — მოსკოველმა ა. მაქსიმოვმა — 1.03,2 (თბილისელი ი. ვიორგობიანი მესამე ადგილზე გამოვიდა), 100 მეტრზე ზურგით ცურვაში — ლენინგრადელმა ბ. პოკრიშევმა (თბილისელი ე. ხიმჩიანი მესამე იყო), 100 მეტრზე ბატერფლაით — ლენინგრადელმა ი. გუბკინმა, 200 მეტრზე ბრასით— მოსკოველმა ი. სუვოროვმა, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — ტალინელმა პ. ბოლდინმა.

წარმატება ხვდათ წილად თბილისელ ბიჭებს ბ. ლეჟავას და ვ. ჯანჯუგაზოვს, რომლებმაც ძნელ ბრძოლაში მოიპოვეს მესამე საპრიზო ადგილები. (100 მეტრი ზურგზე და თავისუფალი სტილით).

100 მეტრზე ბრასით ცურვაში უძლიერესი აღმოჩნდა ტალინელი ვ. ტენისტე, 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ყველა მეტოქე ჩამოიტოვა ლვოველმა ი. პეტროვმა. თბილისელმა ვ. თოფურიამ მეოთხე ადგილი დაიკავა.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი ინტერესი გამოიწვია ამანათცურვამ 4×100. ორივე ასაკის გოგონებში გამარჯვება ლენინგრადის გუნდებს დარჩათ. ვაჟთა შორის პირველობისათვის ბრძოლა თბილისისა და მოსკოვის გუნდებს შორის გაიმართა. ჭაბუკების ამანათცურვა მოიგო მოსკოვის გუნდმა, ხოლო ბიჭებისა — თბილისის გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ ბ. ლეჟავა, ვ. ზულფიანი, ვ. თოფურია და ვ. ჯანჯუგაზოვი. გამარჯვებულთა დრო 4.51,8. უახლოესი მეტოქეები მათ 13 წამით ჩამორჩნენ.

ხუთდღიანი დაძაბული ბრძოლის შედეგად საერთო გუნდური პირველი ადგილი ლენინგრადის სპორტსმენებმა მოიპოვეს. მეორე ადგილი წილად ხვდა მოსკოვის გუნდს, მესამე საპრიზო ადგილი კი თბილისის გუნდმა დაისაკუთრა.

ამით ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" ჯილდოზე, რომელიც მიმდინარე წლის მარტში ჩატარდება მოსკოვში.

**ვ. სამარინი,**
მწვრთნელი ცურვაში.
**ა. ბარნოვი.**

## ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ტურიზმის სექცია მიმდინარე წლის 14 იანვრიდან აწყობს კონსულტაციას ტურისტული მუშაობის საკითხებზე, კერძოდ ტურიზმის სახელმძღვანელო მასალების გარშემო.

კონსულტაცია იწარმოებს ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში (ლენინის ქ. № 37, კიროვის სახ. პარკში) კვირაში ორჯერ: სამშაბათობითა და პარასკეობით, საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსის სახ. საქ. სახ. ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელისის განცხადება

ცნობილმა ინგლისელმა მსაჯმა ფეხბურთში არტურ ელისმა ამას წინათ მკაცრად გაილაშქრა ინგლისურ ფეხბურთში ესოდენ გავრცელებული წესის — მეკარეზე თავდასხმის წინააღმდეგ. ელისის აზრით, მეკარეზე თავდასხმა უნდა აიკრძალოს, როგორც არასპორტული. „ჩემი მსაჯობის ოცდაშვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ ორ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც გოლი გატანილი იქნა დასაშვებ პირობებში, ე. ი. მეკარის ზომიერი ბიძგებით. ხშირად კი მეკარე სახიფათო ტრავმას იღებდა და ხანგრძლივი დროით სტოვებდა ასპარეზს.“

# რანის პატიმრობა

ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ გერმანელ თავდამსხმელს ჰელმუტ რანს, რომელმაც 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში უნგრეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ორი ბურთი გაიტანა და თავის გუნდს ოქროს მედლები და ჟიულ რიმეს თასი მოუტანა. მაგრამ განა მარტო ფეხბურთელები იცნობენ რანს, როგორც ჩინებულ სპორტსმენს. მას კარგად იცნობს ქალაქ ესენის სასამართლოც როგორც ხულიგანს. გასული წლის დასასრულს სიმთვრალეში მანქანის მართვისათვის მას ესენის სასამართლომ მიუსაჯა ორი კვირის პატიმრობა, სასჯელის მოხდის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში მანქანის ტარების უფლება წაართვა და 100 გერმანული მარკით დააჯარიმა.



სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდების ტურნირში გამარჯვებული ქუთაისის კალათბურთელ გოგონათა გუნდი.



სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდების ტურნირში გამარჯვებული „ლოკომოტივის“ კალათბურთელთა გუნდი.

ფოტო ს. მესროფოვისა




ორი ადამიანი იმედდაკარგული იწვა თოვლში, ხილვადობა მეტად მცირე იყო. მათი თვალები ამაოდ ეძებდნენ მონბლანის მწვერვალს — მათ მიზანს.

ჟან ვინცენდონმა და ფრანსუა ჰენრიმ იცოდნენ, რომ ამჟამად მათ ბრძოლა წააგეს, ბუნების ძალებმა ძლიეს ისინი.

23 დეკემბერს დაიწყეს ასვლა. შობის დღესასწაულისათვის სურდათ 4.800 მეტრის სიმაღლეზე — მონბლანის მწვერვალზე ფეხის შედგმა. წინა ღამეს ამინდი უცბად შეიცვალა, თერმომეტრი სულ დაბლა და დაბლა იწევდა და... 40 გრადუსს მიაღწია, ხოლო ქარბუქის სისწრაფე წუთში თითქმის 60 კილომეტრს აღწევდა.

ჟან ვინცენდონი ჰენრისთან ახლოს მიჩოჩდა, ტუჩი ამხანაგის ყურთან მიიტანა და ჩასძახა:

— ფრანსუა, ასვლა უაზროა, უნდა დავბრუნდეთ უკან!..

ფრანსუამ თავი დააქნია. ორი მთამსვლელი წამოდგა და ნელა ჩამოყვნენ მთას. ძლივს იკვლევდნენ გზას ქარბუქში. ფრანსუამ უცებ მაგრად მოსწია თოკს, ჟანმა ახედა და შეამჩნია ის, რაზედაც ამხანაგი მიუთითებდა. მათკენ, მყინვარზე, ორი ბნელი ლანდი მოდიოდა.

ფრანგმა ჟან ვინცენდონმა და ბელგიელმა ფრანსუა ჰენრიმ მალე იცნეს მომავალნი. ისინი იტალიელები — ვალტერ ბონატი და სილვანო გეზერი იყვნენ. ამ უკანასკნელმა მსოფლიოში მეორე უმაღლესი მწვერვალი — K-2 (8.611 მ) დაიპყრო.

— ჩვენ გვინდოდა პუარის კედლით ავსულიყავით მონბლანზე, — თქვა ბონატიმ, — მაგრამ ქარბუქმა უკან დაბრუნება გვაიძულა. ახლა კი გვსურს უფრო ადვილი გზით ვცადოთ მწვერვალზე ასვლა.

ჟანმა და ფრანსუამ ერთმანეთს გადახედეს, იმედი გამოკრთა!.. გამოცდილი მთამსვლელების — ბონატის და გეზერის დახმარებით იერიშის გაგრძელება შეიძლება! მათ ერთმანეთის აზრი ამოიკითხეს და იტალიელებს შეუერთდნენ. ორმა გუნდმა ხელახლა დაიწყო ასვლა...

როდესაც სიბნელე ჩამოწვა, ორივე ჯგუფი დაქანცული, დაუძლურებული იწვა თოვლში 4.000 მეტრის სიმაღლეზე. ერთიმეორისაგან 100 მეტრის დაშორებით დაბინავდნენ, ვინაიდან ოთხი მთამსვლელისათვის საკმარისი ადგილი ერთად არ მოინახა. საშინელი ღამე, ქარბუქიანი და აუტანლად ყინვიანი სდევდა მათ. ჟანი და ფრანსუა იმდენად დაიღალნენ, რომ როცა მეორე დღეს გრიგალი კვლავ შეუნელებლად ზუზუნებდა, აღარც კი უცდიათ ზევით ასვლა, იტალიელებმაც ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს.

...ექვსი ღამე გაათიეს ასეთ მდგომარეობაში და გრძნობდნენ, თუ დღითი-დღე როგორ ეუფლებოდა სულ უფრო მძლავრად მათ სხეულს სიცივე, ძნელი ხდებოდა მოძრაობაც...

...ბონატიმ თავისი ამხანაგი შეანძრია:

— ადექი, სილვანო! ვალოტის ქოხისკენ წასვლა ვცადოთ. აქ კიდევ მეტხანს გაჩერება უაზრობაა — გავიყინებით!

ძალით ააგდო მან სილვანო გეზერი და ბორძიკით გასწიეს მიტოვებული ქოხისაკენ. მათ აღარ შეეძლოთ ჟანზე და ფრანსუაზე ზრუნვა — ისინი საკუთარი სიცოცხლისათვის იბრძოდნენ. დიდი ვაივაგლახით მიაღწიეს ქოხს. მაგრამ აქაც ვერ იგრძნეს შეღავათი. გეზერს ფეხები მოჰყინოდა, ბონატის კი სისხლი სდიოდა ფეხებიდან. ამისდამიუხედავად, მან მეორე დღეს ხელახლა წამოაგდო ამხანაგი. ფეხსაცმლის ჩაცმა შეუძლებელი იყო და მათაც საბნის ნაჭრებით შეიფუთეს ტერფები. ბარბაცით გაუდგნენ ისევ ჯოჯოხეთურ გზას... ბონატიმ თერმომეტრს დახედა: მინუს 28! რამდენიმე საათის შემდეგ ნახევრად გაყინულებმა მიაღწიეს ვალოტის ქოხს.

შამონის მთის მაშველ სამსახურში განგაშია! 4 მთამსვლელი განსაცდელშია მონბლანის მასივზე!.. მაშველი სამსახურის უფროსმა ლეგალმა ჯგუფებს მოუყარა თავი, ვერტმფრენებიც კი მოითხოვა. ასეთ ამინდში ასვლა დიდ დროს მოითხოვს. გეგმა ასეთი იყო — მაშველი ჯგუფის წევრები ვერტმფრენიდან პარაშუტებით დაეშვებიან განსაცდელში მყოფ მთამსვლელებთან და გაუწევენ დახმარებას. ვერტმფრენი ჰაერშია და გარს უვლის მონბლანის დათოვლილ მასივს. აი, ვალოტის ქოხი! მაშველი ჯგუფის წევრები სტოვებენ ვერტმფრენს და ქარბუქში იკარგებიან. ყველანი მშვიდობით დაეშვნენ ძირს და ძებნა დაიწყეს...

ვალტერ ბონატის და სილვანო გეზერს ამ დღეს დიდი გაჭირვებით შეეძლოთ კიდევ ფეხზე დგომა. თეთრი წყვდიადი სუფევდა ირგვლივ, მაგრამ მაშველი ჯგუფის ვამოჩენის იმედი ჯერ არ დაეკარგათ. უცებ სილვანოს ძახილი მოესმა:

— ვალტერ! მაშველი ჯგუფი! — ქოხიდან გამოცვივდნენ და ხმამაღლა ყვირილი მორთეს:

—გვიშველეთ! გვიშველეთ! აქეთ!.. და მით უფრო გულშემზარავი იყო მათი ყვირილი, რაც უფრო უჩინარდებოდნენ შავი ლანდები ქარბუქში... უკანასკნელად კიდევ ერთხელ მიაყვირეს მათ კვალდაკვალ, მაგრამ ამაოდ. ქარის ზუზუნში არაფერი ისმოდა. მაშველი ჯგუფის წევრებმა მათი ხმა ვერ გაიგეს!..

იმედდაკარგულებმა მიაშურეს ისევ ქოხს. 20 საათის შემდეგ იმედმა ისევ გაიღვიძა: ხელახლა გამოჩნდნენ შავი ლანდები საშინელ ქარბუქში! ისევ გულშემზარავი შეძახილებით, ყვირილით, დასისხლიანებული, მოყინული ფეხებით, ბარბაცით მიჰყვებოდნენ მათ ვალტერი და სილვანო. ამჯერად ხმა გაიგეს და მაშველი ჯგუფის წევრებმა გაყინულ და ღონემიხდილ ლანდებს ხელები შეაშველეს. ვალტერ ბონატი და სილვანო გეზერი გადარჩნენ!

ჟანი და ფრანსუა?

ისინი აპატიურად იწვნენ თავიანთ ბანაკში — არავითარი იმედი აღარ ჰქონდათ გადარჩენისა. ჟან ვინცენდონი გამალებით ამოწმებდა გაყინულ ფეხებს და თანაგრძნობით შეჰყურებდა ფრანსუა ჰენრის, რომელსაც სახე მოყინულობისაგან სავსებით დამახინჯებოდა.

...ხმაურმა შეაკრთო ისინი.

— ფრანსუა! თითქოს ვერტმფრენის ხმაა!

(გაგრძელება იქნება)

# ქართული თამაშები „არჩილიანში“

ცნობილი მეფე-პოეტი არჩილი, რომელიც XVII საუკუნეში ჯერ საქართველოში, შემდეგ კი რუსეთში მოღვაწეობდა, საქვეყნოდ განთქმული მოასპარეზე, მშვილდოსანი და მობურთალი იყო. ალბათ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ თავის ნაწარმოებში მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართულ თამაშებს.

არჩილი პირველი მწერალი იყო, რომელმაც შექმნა ქართული ზნეობის ფილოსოფია. არჩილის ამ ნაწარმოებს „საქართველოს ზნეობანი“ ეწოდება.

ზნეობის არჩილისეულ მოძღვრებაში ქართულ თამაშებს წამყვანი ადგილი უკავია. მათ შორის იგი გამოარჩევს მშვილდოსნობასა და ბურთაობას. აქვე არჩილი მიუთითებს „აშფაშაქზე“, ე. ი. მიზანში სროლაზე, „მესეფქობაზე“ (ძველი ქართული ტერმინოლოგიით „სეფქა“ ისრის განსხვავებული სახეა და ალბათ ამ ტიპის ისრის სროლაზეა მითითებული).

„დია კარგია სხვებიცა
ზნეობა-საქციელები,
მშვილდისარი და ბურთობა,
ორივე ცხენ-ფიცხელები,
აშფაშაქი და ყაბახი,
ბურთის სროლა მესეფქობა,
კარზე ცხენის გაჭენება
ხელ-ძალიან ჯირითობა“.

არჩილს ქართულ თამაშობებში შეტანილი აქვს აგრეთვე ცურვა, მაგრამ რატომღაც ნავით ცურვას მეტ უპირატესობას აძლევს. „მცურაობა კარგი არის, მაგრამე სჯობს ნავთ ხმარება“. იგი მიუთითებს აგრეთვე ჭადრაკის, ნარდის, ყუმარის თამაშზე, ასევე ჩალიჩობაზე, ხტომაზე, ქვის სროლასა და შერკინებაზე. აქ ჭიდაობაზე და მის ხერხებზეც არის ლაპარაკი.

„ჭადრაკის მღერა, ნარდისა,
და სხვა რაც რამა ყუმარი
ხარდიორდა და ჩალიჩი,
სევდისა დასადუმარი,
ხტომა, ქვის გდება, რკინობა,
მოგვერდი, ფანდიც რამ არი...“

არჩილი ყურადღებას უთმობს ფარიკაობის, ხმლით ბრძოლის სწავლას, ლახტის თამაშს, შუბის ხმარებას. მისი აზრით ვაჟკაცმა, თუ მას სურს რომ „ზნესრული“ იყოს, კარგად უნდა იცოდეს „ხრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრჯერ ბრუნება შუბისა“.

პოეტი მოასპარეზე-მობურთალ ახალგაზრდობას ურჩევს „ჩოგნის მოხვრეტას, სწორი ბურთის გამოჭრის“ ცოდნას, რადგან, მისი აზრით, კარგი ჩოგნის დამზადება და კარგი ბურთის გაკეთება ერთ-ერთი ძირითადი პირობაა თამაშში წარმატების მოსაპოვებლად. მისივე აზრით, სპორტული თამაშის შესანიშნავი სახეობაა ცხენზე ხელდაუკარებლად შეხტომაც.

თამაშებში, პოეტის სიტყვით, დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურობის გრძნობას, ამხანაგის სიყვარულს, რადგან მოასპარეზეთა შორის მხოლოდ ასეთი დამოკიდებულება ქმნის ურთიერთ პატივისცემის ატმოსფეროს და თამაშობათა მაღალ დონეზე ჩატარებასაც უზრუნველყოფს.

არჩილი პატივისცემით ეკიდება სხვა ხალხთა სპორტულ თამაშებსაც. იგი მოგვითხრობს, რომ მის დროს საქართველოში ინდოეთიდან სპორტის ოსტატები ჩამოსულან. ინდოელ ოსტატებს ასპარეზზე ისეთი რთული ხასიათის სპორტული თამაშები წარმოუდგენიათ, რომლებმაც დამსწრეთა გაკვირვება და მოწონება გამოიწვიეს.

როგორც აღწერიდან ჩანს, ეს ინდოელი იოგები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ ფიზიკური და სულიერი გამძლეობით.

„ჰინდიც არ ვნახეთ ჩვენ წინა,
ოთხ აქლემს გარდახტებოდა!
ხელ დაუკრავად ჰაერში
მათზე გარდაბრუნდებოდა,
იქით ფერხს დადგის მის
მჭვრეტელს
თვალიც არ მოუხსლტებოდა,
ორს ცხრას იქით-აქ ხელჭერილს
შიშვლის ხმლით შიგ გახტებოდა“,

და შემდეგ:

„ხეს დაიჭერდა კბილითა
თუ ექვსმა კაცმა აილის,
ქვეშ დაისვემდა მახვილსა,
ქვე ტანი აღარ დაილის,
ხმელზე თევზურებ ცურავდა
კვლავ უცხო რამ შემოილის“.

ისტორიულ პოემაში „გაბაას[ება] თეიმურაზისა და რუსთაველისა“ [ა]რჩილმა კვლავ მოხერხებულად ჩაუ[ქსოვა] თო ცალკეულ ეპიზოდებში ქარ[თუ]ლი თამაშების აღწერა.

არჩილი მოგვითხრობს თეიმუ[რა]ზისა და გურიელის ქალის ქორ[წი]ლის შესახებ და გვაუწყებს, [რომ] იმავე დროს გამართულა:

„ბურთობა, ყაბახის სროლა, [...]
ვის რა ასპარეზს ენება.“

თეიმურაზი ასპარეზობას ხში[რად] მართავდა თიანეთში, რომელიც, [რო]გორც ჩანს, ყველაზე მოხერხებ[ული] სასპარეზო ადგილი ყოფილა:

„თიანეთს სხვა მთის ალაგი
ვერ შეადარონ მას შურით,
სალხინოთა და საბურთლად
ერწოდან იქ მივაშურით,
თიანეთს ეს სჭირს სიკეთე
— დიდია, მერმე გაშლილი,
მოედანს მწვანით მოსილსა
მობურთალი ჰყავს შეშლილი“

როგორც ირკვევა, ერთ-ერთი დ[ი]დ სასწაულის დროს, გაზაფხულ[ზე], როცა „ამით იხარებს ყოველი [...] ნერგილ-დანათესი, ნადირობა [...] ბურთობა, ლხინიც აქ უკეთეს[...] მოუწყვიათ გრანდიოზული ასპა[რე]ზობა-სანახაობა. ამ დროს ყაბა[ხის] სროლასა და ბურთობაში ქართველ[...]ბის გარდა მონაწილეობა მიუღ[იათ] ოთხმოც რჩეულ ვაჟკაცს ჩერქე[ზე]თიდან და ოსეთიდან.

„კურმუხელ კაბათა სიმრავლე
ამათ გასინჯე კუხოსი,
ყაბახს ესროდეს ოთხმოცი
მარტო ჩერქეზი და ოხი“.

1623 წლის აპრილშიც გამარ[თუ]ლა დიდი ასპარეზობა, რომე[ლიც] თეიმურაზსა და გიორგი საა[კაძეს] მოუწყვიათ ყიზილბაშებზე გამა[რჯ]ვების აღსანიშნავად. პოეტი თა[ვის] გმირს — თეიმურაზს ათქმევინებ[ს]:

„გამოვიდა ხანი რამე
სიმდიდრეს და სიხარულში,
ლხინს, ნადიმს და გახარებას,
მოსვენებას, ძილს რამ რულში,
ბურთობას და ნადირობას,
აქა-იქა სიარულში“.

ხანში შესვლის ჟამს არჩილს [...] მა რუსეთში წასვლა არგუნა. ჯერ ქალაქ ასტრახანში დაბინა[ვდა], აქ წერდა თავის თხზულებებს [...] თან ნაღვლიანად იგონებდა იმ დ[როს], როდესაც ასპარეზზე გამოდი[ოდა]. იგი გულდარდიანად ამბობს:

„ველარ ვბურთობ, ვერ ვნადი[რობ],
ველარ ვლხინობ ვით უწინა“.

სამაგიეროდ, თავის თხზულებ[ებში] მან დიდი სიყვარულით აღწერა [...] შთამომავლობას გადმოსცა ქარ[თუ]ლ თამაშობათა აღწერა, რომელთ[ა] ბევრი დღესაც ხიბლავს მკი[თხვე]ლს.

ვ. სიდამონიძე

რედაქტორი ი. უგულა[ვა]

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. უე 00616